N 04/162
15/08/2022

ბრძანება

162-01-4-202208151718

შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ (ს/კ 404391136) მიერ 23 ეკონომიკური აგენტის საკუთრებაში არსებულ 32 ავტოგასამართ სადგურზე კონტროლის მოპოვების გზით განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს მე-11 მუხლის მე-3 და მე-6 პუნქტების, 11^1 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 17^1 მუხლის მე-4 პუნქტის, „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-16 მუხლისა და სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებით დამტკიცებული „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ მე-20 მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს „გადაწყვეტილება შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ (ს/კ 404391136) მიერ 23 ეკონომიკური აგენტის საკუთრებაში არსებულ 32 ავტოგასამართ სადგურზე კონტროლის მოპოვების გზით განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ” თანდართული სახით;

2. შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ (ს/კ 404391136) მიერ 23 ეკონომიკური აგენტის საკუთრებაში არსებულ 32 ავტოგასამართ სადგურზე კონტროლის მოპოვების გზით განსახორციელებელი კონცენტრაცია მიჩნეულ იქნეს კონკურენტულ გარემოსთან თავსებადად;

3. გადაწყვეტილება გაეგზავნოთ შეტყობინების საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოში წარმომდგენ ეკონომიკურ აგენტს;

4. გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში გამოქვეყნდეს კონკურენციის სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე, სახელმწიფო, კომერციულ, პროფესიულ, პერსონალურ ან საგადასახადო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვით;

5. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64);

6. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ირაკლი ლექვინაძე



თავმჯდომარე

გადაწყვეტილება

შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ (ს/კ 404391136) მიერ 23 ეკონომიკური აგენტის საკუთრებაში არსებულ 32 ავტოგასამართ სადგურზე კონტროლის მოპოვების გზით განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ

I. ფაქტობრივი გარემოებები

საქართველოს კონკურენციის სააგენტოში 2022 წლის 15 ივლისის N01/1287 წერილით შემოვიდა შეტყობინება შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ (ს/კ 404391136) მიერ 23 ეკონომიკური აგენტის საკუთრებაში არსებულ 32 ავტოგასამართ სადგურზე კონტროლის მოპოვების გზით განსახორციელებელი კონცენტრაციის შესახებ.

შეტყობინება მოიცავდა კანონმდებლობით დადგენილი ფორმით მოთხოვნილ ზოგად ინფორმაციას კონცენტრაციის შესახებ - მონაწილე სუბიექტები; ფორმა, მიზანი; მონაწილე სუბიექტთა მახასიათებლები; კონცენტრაციის დეტალური აღწერა - კონცენტრაციის შესაბამისი ბაზარი, მეთოდი - რომლითაც იხელმძღვანელეს შესაბამისი ბაზრის განსაზღვრისას; უახლოესი 24 თვის ეკონომიკური და ბიზნეს გეგმები; კონცენტრაციის სავარაუდო შედეგები; ინფორმაცია ბაზარზე კონცენტრაციის შესაძლო დადებითი და უარყოფითი ზეგავლენის შესახებ; მინიმუმ სამი საკითხი, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს საკითხის დადებითად ან უარყოფითად გადაწყვეტაზე და რაზეც უნდა იქნეს სააგენტოს მიერ ყურადღება გამახვილებული.

შეტყობინებას თან ახლდა დანართები:

- კონცენტრაციის მონაწილე სუბიექტები;
- შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ მფლობელობაში არსებული ავტოგასამართი სადგურები;
- სამიზნე ავტოგასამართი სადგურების მესაკუთრეთა მფლობელობაში არსებული სხვა საწარმოები;
- ტიპური იჯარის ხელშეკრულების ასლი;
- შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ ურთიერთდამოკიდებული პირები;
- კონცენტრაციის მონაწილე 23 ეკონომიკური აგენტის 2021 წლის ბრუნვის მოცულობა;
- 24 თვის ბიზნეს გეგმა;
- სადგურების ტიპები და ოპერირების დაწყების სავარაუდო თარიღები;
- „გალფის“ ბრენდის კონცეფციის პრეზენტაცია;
- „გალფ სთორის“ პრეზენტაცია;
- ძირითადი მომწოდებლები და შემსყიდველები;
- შეძენილი და რეალიზებული საქონლის მოცულობები;
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- რწმუნებულება.

შეტყობინების მიხედვით, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“ ეწევა საავტომობილო საწვავის საცალო რეალიზაციას - „გალფის“, „გალფ ექსპრესის“ (თვითმომსახურება) და „G ეკონომის“

ბრენდებით იდენტიფიცირებული ავტოგასამართი სადგურების ქსელების მეშვეობით, ხოლო სამიზნე ავტოგასამართი სადგურები წარმოადგენს 23 ურთიერთდამოკიდებული ეკონომიკური აგენტის საკუთრებას, მათ შორის 28 ავტოგასამართი სადგურის ოპერირებას ახორციელებს შპს „რომპეტროლ საქართველო“ გრძელვადიანი იჯარის ხელშეკრულებების საფუძველზე, რომელთა ვადა, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ ინფორმაციით, ეტაპობრივად იწურება [redacted] პერიოდში.

შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ ინფორმაციით, 2021 წელს კომპანიამ მიიღო შეთავაზება სამიზნე ავტოგასამართი სადგურების მესაკუთრეებისგან/პარტნიორებისაგან, განეხილა მათ საკუთრებაში არსებული ავტოგასამართი სადგურების იჯარით აღება შპს „რომპეტროლ საქართველოსთან“ მიმდინარე საიჯარო ურთიერთობის დასრულების შემდეგ. მოლაპარაკებების შედეგად, შედგა შეთანხმება, რომლის თანახმადაც შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ 10 წლიანი იჯარით გადაეცემა 23 ეკონომიკური აგენტის საკუთრებაში არსებული 32 ავტოგასამართი სადგური. ამასთან, ავტოგასამართი სადგურების ნაწილზე შეთანხმება ვერ შედგა და სავარაუდოდ, მათი ოპერირება გაგრძელდება არსებული მეიჯარეების მიერ. შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ მიერ განხორციელდა პირობითი ხელშეკრულების გაფორმება 23 ეკონომიკურ აგენტთან 32 ავტოგასამართი სადგურის იჯარით აღების შესახებ, რომელთა ძალაში შესვლა დამოკიდებული იქნება, როგორც კონკურენციის სააგენტოს მიერ კონცენტრაციის თაობაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღებაზე, ასევე მესამე პირთან - შპს „რომპეტროლ საქართველოსთან“ არსებული მიმდინარე საიჯარო ურთიერთობის დასრულებაზე.

როგორც შეტყობინებიდან ირკვევა, დაგეგმილი კონცენტრაციის ფორმა არის კონტროლის მოპოვება - შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ მიერ 23 ეკონომიკური აგენტის აქტივების სრული ან ნაწილობრივი გამოყენების უფლების მოპოვებით. კონცენტრაცია მიზნად ისახავს ავტოგასამართი სადგურების ქსელის გაფართოებას, ხარისხობრივ გაუმჯობესებასა და ეფექტიანობის გაზრდას. ეკონომიკური აგენტი ასევე გეგმავს, სამიზნე ავტოგასამართ სადგურებს შემატოს საცალო ვაჭრობის ობიექტები მაღაზიებისა და ჯიხურების სახით, რაც მომხმარებელს შეუქმნის დამატებით კომფორტს, ერთ სივრცეში საწვავთან ერთად შეიძინოს სხვა საჭირო პროდუქციაც. კომპანია მიზნად ისახავს, გადაცემული სადგურების დიდი ნაწილი განავითაროს ახალი წარმატებული კონცეფციის მიხედვით - „გალფ ექსპრესის“ ბრენდის ქვეშ, რაც გულისხმობს სრულად ავტომატიზებულ თვითმომსახურების სადგურს, სადაც მომხმარებელი საწვავს „გალფის“ ქსელთან შედარებით დაბალ ფასში შეიძენს.

კონცენტრაციის მხარეები:

შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ (ს/კ 404391136) 100%-იანი წილის მფლობელი პარტნიორია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება Energy Investment Venture Holdings, 4916402 /აშშ/. მასთან დაკავშირებული ურთიერთდამოკიდებულ პირებს წარმოადგენენ: შპს „SPG თრეიდინგი“ (ს/კ 404972605), შპს „სან სთორზ“ (ს/კ 404901282), შპს „ჯორჯიან ენერჯი სოლუშენზ“ (ს/კ 204872977), შპს „დიდუბოილი“ (ს/კ 202461512), შპს „ჩაქვის ავტოგასამართი სადგური“ (ს/კ 246957146), შპს „ფონიჭალა 2009“ (ს/კ 200274602), შპს „ფიქრის გორა“ (ს/კ 203840629), შპს „ოპტიმა+“ (ს/კ 404872722), შპს „ვიაიპი-ნუკოილი“ (ს/კ 206141227), შპს „არსენალი“ (ს/კ 218032411), შპს „მგ“ (ს/კ 236037230), შპს „ქოლო“ (ს/კ 220385090), შპს „კარე+“ (ს/კ 201949393), შპს „გიორგი-96“ (ს/კ 211329659), შპს „ნიაზი“ (ს/კ 245418267), შპს „ახალციხე ოილ კომპანი“ (ს/კ 404920626).

რაც შეეხება კონცენტრაციის მონაწილე 23 ეკონომიკურ აგენტს, შეტყობინების მიხედვით, მესაკუთრეს წარმოადგენს ახლო ნათესაური და საქმიანი კავშირით დაკავშირებულ ფიზიკურ პირთა ჯგუფი, რომლებსაც მნიშვნელოვანი წილობრივი მონაწილეობა აქვთ თითოეულ იურიდიულ პირში:

1. შპს „ა.გ.დ.“ (ს/კ 211360720) - დავით ქვათაძე (პ/ნ [redacted]) - 20%; ნინო კაციაშვილი (პ/ნ [redacted]) - 20%; მაკა თევდორაძე (პ/ნ [redacted]) - 20%, მერი ჯაფარიძე (პ/ნ [redacted]) - 20%, გოგი ლიპარტელიანი (პ/ნ [redacted]) - 20%;

2. შპს „ალექსანდრე“ (ს/კ 204858948) - დავით ქვათაძე (პ/ნ [redacted]) - 16%, მაკა თევდორაძე (პ/ნ [redacted]) - 16%, ნინო კაციაშვილი (პ/ნ [redacted]) - 16%, მერი ჯაფარიძე (პ/ნ [redacted]) - 16%, მარინე სვანაძე (პ/ნ [redacted]) - 16%, იზოლდა გელაშვილი (პ/ნ [redacted]) - 20%;

3. შპს „ალექსანდრა“ (ს/კ 206347791) - ნინო კაციაშვილი (პ/ნ [redacted]) - 18%, ხათუნა ლიპარტელიანი (პ/ნ [redacted]) - 18%, ნაზი ლიპარტელიანი (პ/ნ [redacted]) - 18%, მაკა თევდორაძე (პ/ნ [redacted]) - 18%, თამრიკო ლიპარტელიანი (პ/ნ [redacted]) - 10%, ქრისტინე ქვათაძე (პ/ნ [redacted]) - 18%;

4. შპს „გიორგი IV“ (ს/კ 211324896) - შპს ა.გ.დ. (პ/ნ 211360720) - 80%, ზაალ ბუკია (პ/ნ [redacted]) - 20%;

5. შპს „ვაზი“ (ს/კ 211361168) - გიორგი დარჩიაშვილი (პ/ნ [redacted]) - 8%, ნიკოლოზ ხვედელიძე (პ/ნ [redacted]) - 15%, ნინო ხვედელიძე (პ/ნ [redacted]) - 4%, ნაზი ლიპარტელიანი (პ/ნ [redacted]) - 19%, ალექსანდრე მეტრეველი (პ/ნ [redacted]) - 9%, თამარ კერესელიძე (პ/ნ [redacted]) - 10%, ნოდარ დარჩიაშვილი (პ/ნ [redacted]) - 8%, გიორგი არდაზიშვილი (პ/ნ [redacted]) - 8%, ლალი ჯეჯელავა (პ/ნ [redacted]) - 19%;

6. შპს „ენ სერვისი“ (ს/კ 205280603) - ნიკოლოზ ხვედელიძე (პ/ნ [redacted]) - 20%, მერი ჯაფარიძე (პ/ნ [redacted]) - 20%, გიორგი მეტრეველი (პ/ნ [redacted]) - 5%, დავით აგაშენაშვილი (პ/ნ [redacted]) - 10%, ვაჟა აგაშენაშვილი (პ/ნ [redacted]) - 15%, ვახტანგ ოდიშელიძე (პ/ნ [redacted]) - 25%, ბესიკ მეტრეველი (პ/ნ [redacted]) - 5%;

7. შპს „პარტნიორი ისანი“ (ს/კ 404878655) - ალექსანდრე მეტრეველი (პ/ნ [redacted]) - 15%, მარინე სიჩევი (პ/ნ [redacted]) - 19%, მაკა სუჯაშვილი (პ/ნ [redacted]) - 22%, ნიკოლოზ ხვედელიძე (პ/ნ [redacted]) - 27%, ლალი ჯეჯელავა (პ/ნ [redacted]) - 17%;

8. შპს „ენ პლიუს სერვისი“ (ს/კ 205294279) - ნაზი ლიპარტელიანი (პ/ნ [redacted]) - 17%, ვახტანგ ოდიშელიძე (პ/ნ [redacted]) - 29%, ვაჟა აგაშენაშვილი (პ/ნ [redacted]) - 10%, ნიკოლოზ ხვედელიძე (პ/ნ [redacted]) - 17%, ბესიკ მეტრეველი (პ/ნ [redacted]) - 5%, გიორგი მეტრეველი (პ/ნ [redacted]) - 5%, მერი ჯაფარიძე (პ/ნ [redacted]) - 17%;

9. შპს „პარტნიორი ორთაჭალა“ (ს/კ 406038096) - მერი ჯაფარიძე (პ/ნ [redacted]) - 17%, ალექსანდრე მეტრეველი (პ/ნ [redacted]) - 6%, ნინო ხვედელიძე (პ/ნ [redacted]) - 7.5%, მაკა სუჯაშვილი (პ/ნ [redacted]) - 20%, მარინე სიჩევი (პ/ნ [redacted]) - 17%, ბესიკ მეტრეველი (პ/ნ [redacted]) - 6%, ნიკოლოზ ხვედელიძე (პ/ნ [redacted]) - 7.5%, ნინო კანთელაძე-ჩაგელიშვილი (პ/ნ [redacted]) - 19%;

10. შპს „გიორგი და კომპანია“ (ს/კ 200070145) - ნიკოლოზ ხვედელიძე (პ/ნ [redacted]) - 24%, მერი ჯაფარიძე (პ/ნ [redacted]) - 25%, ალექსანდრე მეტრეველი (პ/ნ [redacted]) - 13%, მარინე სიჩევი (პ/ნ [redacted]) - 25%, ბესიკ მეტრეველი (პ/ნ [redacted]) - 13%;

11. შპს „ნანო“ (ს/კ 406245068) - ალექსანდრე მეტრეველი (პ/ნ [redacted]) - 5%, ბესიკ მეტრეველი (პ/ნ [redacted]) - 5%, მერი ჯაფარიძე (პ/ნ [redacted]) - 16%, ნაზი ლიპარტელიანი (პ/ნ [redacted]

[redacted]) - 16%, მაკა სუჯაშვილი (პ/ნ [redacted]) - 7%, გიორგი ჩაგელიშვილი (პ/ნ [redacted]) - 39%, ნინო ხვედელიძე (პ/ნ [redacted]) - 12%;

12. შპს „პარტნიორი ბათუმი“ (ს/კ 445383503) - ნაზი ლიპარტელიანი (პ/ნ [redacted]) - 25%, მერი ჯაფარიძე (პ/ნ [redacted]) - 25%, სოფიო ცხადაძე (პ/ნ [redacted]) - 25%, ნიკოლოზ ხვედელიძე (პ/ნ [redacted]) - 25%;

13. შპს „რომაპეტროლ“ (ს/კ 205236920) - მარინე სიჩევი (პ/ნ [redacted]) - 27%, ნიკოლოზ ხვედელიძე (პ/ნ [redacted]) - 23%, გაიოზ ჯაფარიძე (პ/ნ [redacted]) - 27%, თეა ბოლქვაძე (პ/ნ [redacted]) - 23%;

14. შპს „იმედი 2009“ (ს/კ 212903152) - იზა ბენიძე (პ/ნ [redacted]) - 50%, ლალი ჯეჯელავა (პ/ნ [redacted]) - 25%, ნიკოლოზ ხვედელიძე (პ/ნ [redacted]) - 25%;

15. შპს „ფოთპეტროლი“ (ს/კ 415083858) - ნაზი ლიპარტელიანი (პ/ნ [redacted]) - 18%, ნიკოლოზ ხვედელიძე (პ/ნ [redacted]) - 16%, კახა ქურასბედიანი (პ/ნ [redacted]) - 10%, ლალი ჯეჯელავა (პ/ნ [redacted]) - 16%, შპს იბერკომპანი (ს/კ 231963818) - 40%;

16. შპს „რომ იმპორტი 2010“ (ს/კ 205276486) - ნიკოლოზ ხვედელიძე (პ/ნ [redacted]) - 15%, ბესიკ მეტრეველი (პ/ნ [redacted]) - 5%, მერი ჯაფარიძე (პ/ნ [redacted]) - 20%, ნაზი ლიპარტელიანი (პ/ნ [redacted]) - 25%, მაკა თევდორაძე (პ/ნ [redacted]) - 25%, იზოლდა ბურდიაშვილი (პ/ნ [redacted]) - 5%, გიორგი მეტრეველი (პ/ნ [redacted]) - 5%;

17. შპს „მარნეული პარტნიორი“ (ს/კ 404947046) - მაკა სუჯაშვილი (პ/ნ [redacted]) - 25%, ნაზი ლიპარტელიანი (პ/ნ [redacted]) - 20%, მერი ჯაფარიძე (პ/ნ [redacted]) - 20%, ნიკოლოზ ხვედელიძე (პ/ნ [redacted]) - 15%, ბესიკ მეტრეველი (პ/ნ [redacted]) - 8%, ნინო ჭეიშვილი (პ/ნ [redacted]) - 12%;

18. შპს „აერო“ (ს/კ 220415423) - მაკა სუჯაშვილი (პ/ნ [redacted]) - 16%, მარინე სიჩევი (პ/ნ [redacted]) - 16%, ნინოხვედელიძე (პ/ნ [redacted]) - 14%, ალექსანდრე მეტრეველი (პ/ნ [redacted]) - 7%, თამარ კერესელიძე (პ/ნ [redacted]) - 7%, ლანა კალანდია (პ/ნ [redacted]) - 10%, ლალი ჯეჯელავა (პ/ნ [redacted]) - 17%, გიორგი ფონია (პ/ნ [redacted]) - 10%, ქეთევან ანდღულაძე (პ/ნ [redacted]) - 3%;

19. შპს „პარტნიორი 2010“ (ს/კ 404852717) - ნუგზარ ბაჭაძე (პ/ნ [redacted]) - 20%, აკაკი ნოზაძე (პ/ნ [redacted]) - 20%, ნაზი ლიპარტელიანი (პ/ნ [redacted]) - 17%, მერი ჯაფარიძე (პ/ნ [redacted]) - 17%, ბესიკ მეტრეველი (პ/ნ [redacted]) - 5%, ხათუნა მაჭარაშვილი (პ/ნ [redacted]) - 5%, გიორგი მეტრეველი (პ/ნ [redacted]) - 5%, ქეთევან ანდღულაძე (პ/ნ [redacted]) - 11%;

20. შპს „სქური 2016“ (ს/კ 405132574) - გიორგი მეტრეველი (პ/ნ [redacted]) - 7.5%, მერი ჯაფარიძე (პ/ნ [redacted]) - 15%, ნაზი ლიპარტელიანი (პ/ნ [redacted]) - 15%, გიორგი გვენცაძე (პ/ნ [redacted]) - 14%, გიორგი ფონია (პ/ნ [redacted]) - 14%, ზურაბ ბურდიაშვილი (პ/ნ [redacted]) - 9%, გიგლა ფონია (პ/ნ [redacted]) - 12%, ბესიკ მეტრეველი (პ/ნ [redacted]) - 7.5%, ნინო ხვედელიძე (პ/ნ [redacted]) - 6%;

21. შპს „არაონი 2010“ (ს/კ 205295223) - ავთანდილ თევზაძე (პ/ნ [redacted]) - 19%, ნაზი ლიპარტელიანი (პ/ნ [redacted]) - 20%, ანრი გოგიტიძე (პ/ნ [redacted]) - 10%, ბესიკ

მეტრეველი (პ/ნ [redacted]) - 6%, ლალი ჯეჯელავა (პ/ნ [redacted]) - 19%, გიორგი მეტრეველი (პ/ნ [redacted]) - 6%, ქეთევან ანდღულაძე (პ/ნ [redacted]) - 8%, ზურაბ ბურდიაშვილი (პ/ნ [redacted]) - 7%, ნინო ხვედელიძე (პ/ნ [redacted]) - 5%;

22. შპს „გიოილი 2009“ (ს/კ 205251083) - ბესიკ მეტრეველი (პ/ნ [redacted]) - 30%, ქეთევან ანდღულაძე (პ/ნ [redacted]) - 4%, ალექსანდრე მეტრეველი (პ/ნ [redacted]) - 30%, მერი ჯაფარიძე ([redacted]) - 20%, ნინო ხვედელიძე (პ/ნ [redacted]) - 8%, ზურაბ ბურდიაშვილი (პ/ნ [redacted]) - 8%;

23. შპს „იმედი 2011“ (ს/კ 412672497) - გელა თოფურია (პ/ნ [redacted]) - 31%, დათო ბენიძე (პ/ნ [redacted]) - 30%, მარინე სიჩევი (პ/ნ [redacted]) - 13%, ნიკოლოზ ხვედელიძე (პ/ნ [redacted]) - 13%, მერი ჯაფარიძე (პ/ნ [redacted]) - 13%.

წარმოდგენილი შეტყობინების მიხედვით, კონცენტრაციის მონაწილე მხარეებს ბოლო 3 წლის განმავლობაში არ შეუძენიათ წილები საავტომობილო საწვავის საცალო ვაჭრობის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტისგან.

2021 წლის მდგომარეობით, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ სრული ბრუნვის გენერირება მოხდა ქვეყნის შიდა ბაზარზე და მისმა მოცულობამ კონსოლიდირებული სახით შეადგინა [redacted] ლარი. რაც შეეხება 23 ეკონომიკურ აგენტს, ბრუნვის გენერირება მოხდა ქვეყნის შიდა ბაზარზე საიჯარო ურთიერთობიდან გამომდინარე, რომლის საერთო ჯამი შეადგენს [redacted] ლარს. უშუალოდ სამიზნე ავტო გასამართი სადგურების ბრუნვის მოცულობა საავტომობილო საწვავის ბაზრის საცალო დონეზე შეტყობინებით არ არის წარმოდგენილი.

შეტყობინებაში მოცემულია კონცენტრაციის შესაბამისი ბაზრის აღწერა - მხარეები თვლიან, რომ კონცენტრაცია ეხება **საავტომობილო საწვავის საცალო ვაჭრობის ბაზარს.** მიჩნეულია, რომ საავტომობილო საწვავის სრული ასორტიმენტი, იქნება ეს დიზელი თუ ბენზინი, ურთიერთჩამანაცვლებელი პროდუქტებია მიმწოდებლის თვალსაზრისით. ასევე აღნიშნულია, რომ იგივე პოზიცია გაზიარებულია სააგენტოს მიერ საავტომობილო საწვავის ბაზრის ადრინდელ კვლევებსა და მიმდინარე ბაზრის მონიტორინგის ფარგლებში.

ბაზრის გეოგრაფიულ საზღვრად მიჩნეულია საქართველოს მთელი ტერიტორია, იმის გათვალისწინებით, რომ ბენზინისა და დიზელის რეალიზაცია ხდება საქართველოს მასშტაბით, და ძირითადად ხასიათდება ერთგვაროვანი ფასწარმოქმნის პრინციპით. ამასთან, უმნიშვნელოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საწვავის ტრანსპორტის ხარჯებიც.

ბაზრის დროით ჩარჩოდ მიჩნეულია ერთი კალენდარული წელი, რადგანაც იგი არ წარმოადგენს სეზონური ხასიათის ბაზარს და ფუნქციონირებს მთელი წლის განმავლობაში.

შეტყობინებაში მოცემულია და დასაბუთებულია მოსაზრება, რომ დაგეგმილი კონცენტრაციის მიზნებისთვის უნდა გამოიყოს მხოლოდ საავტომობილო საწვავის (ნავთობპროდუქტების) აგს-ების მეშვეობით საცალო რეალიზაციის ბაზარი, რომელშიც შედის ინდივიდუალურ მომხმარებელზე განხორციელებული გაყიდვები, რადგანაც დაგეგმილი კონცენტრაცია არ ახდენს პირდაპირ გავლენას იმ ეკონომიკურ აგენტთა რაოდენობასა და საბაზრო წილზე, რომლებიც კონკურენტული სერვისის და პროდუქციის მიწოდებას ახდენენ საავტომობილო საწვავის კორპორატიულ მომხმარებელზე. ასევე აღნიშნულია, რომ მიუხედავად იმისა, რომ დაგეგმილი კონცენტრაციის შედეგად შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“ გეგმავს, გაზარდოს ავტოგასამართ სადგურებზე მოქმედი მაღაზიების ქსელი, აღნიშნული ვერ ჩაითვლება დაგეგმილი კონცენტრაციისთვის შესაბამის ბაზრად, ვინაიდან მესაკუთრეები და არც სამიზნე სადგურების ამჟამინდელი მაკონტროლებელი ეკონომიკური აგენტები აღნიშნულ საქმიანობას არ ახორციელებენ და რამდენადაც ცნობილია, არც პოტენციურად გეგმავენ.

უახლოესი 24 თვის ეკონომიკური და ბიზნეს გეგმები მიხედვით - დაგეგმილი კონცენტრაცია მიზნად ისახავს სტრატეგიული ლოკაციის/ადგილმდებარეობის მქონე სადგურების შემოერთების გზით შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ არსებული საცალო ქსელის ხარისხისა და ეფექტიანობის გაუმჯობესებას. აღნიშნული ეკონომიკურ აგენტს მისცემს შესაძლებლობას, მომავალში ოპტიმიზაცია გაუკეთოს არსებულ ქსელს. ამ დროისათვის შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“ ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებს „გალფის“ ბრენდის ქვეშ მყოფი „გალფის“ და „გალფ ექსპრესის“ ტიპის ავტოგასამართი სადგურებით (ფლობს ასევე არაბრენდირებული „G ეკონომის“ სეგმენტს). კონცენტრაციის განხორციელებამდე შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“ ოპერირებას უწევს „გალფ ექსპრესის“ კონცეფციის [redacted] ერთეულ ავტოგასამართ სადგურს და კონცენტრაციის შედეგად, იგეგმება დამატებით [redacted] ერთეული „გალფ ექსპრესის“ ავტოგასამართი სადგურის გახსნა. აღნიშნული გაზრდის მსგავსი ტიპის სადგურებზე მომხმარებლის ხელმისაწვდომობას და შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ მიერ შეთავაზებული სერვისისა და პროდუქციის მრავალფეროვნებას.

დაგეგმილი კონცენტრაციის შედეგად შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ შესაძლებლობა უჩნდება, გააფართოვოს „გალფ სთორის“ მაღაზიათა ქსელი ახალ სტრატეგიულ ლოკაციებზე, რაც მომხმარებელს შესთავაზებს ერთ სივრცეში საწვავთან ერთად, სხვა საბაზისო და ყოველდღიური საჭიროების პროდუქციას. აღნიშნული მიზნად ისახავს, მომხმარებლისათვის დამატებითი არჩევანის და კომფორტის შექმნას ხარისხიანი, მრავალფეროვანი და შეღავათიან ფასებში პროდუქციის და სერვისის შეთავაზებით მათთვის მოსახერხებელ ლოკაციებზე. „გალფის“ ბრენდის ქვეშ პირველი სადგურების გახსნა/ექსპლუატაციაში გაშვება იგეგმება მიმდინარე წლის ბოლოდან ეტაპობრივად, რომლის ძირითადი ნაწილი დასრულდება 2023 წლის [redacted]. დაგეგმილი კონცენტრაციის შედეგად გათვლილია, რომ სამიზნე სადგურები დღეში საშუალოდ გაყიდიან დაახლოებით [redacted] ლიტრ საწვავს, რაც საშუალოდ [redacted]%-ით გაზრდის „გალფის“ ქსელის ეფექტიანობას.

შეტყობინების მიხედვით, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ გათვლებით, დაგეგმილი კონცენტრაციის შედეგად ბაზარზე ეკონომიკურ აგენტთა რაოდენობა უცვლელი რჩება, ბაზრის კონცენტრაციის დონე არსებითად არ იცვლება და კვლავ დაბალკონცენტრირებული რჩება. არცერთი ბაზრის დამოუკიდებელი მოთამაშე არ ტოვებს ბაზარს. უფრო მეტიც, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ მიერ იგეგმება დღეს უმოქმედო 4 სადგურის ამუშავება.

რაც შეეხება კონცენტრაციის დადებით და უარყოფით ზეგავლენებს, როგორც შეტყობინებაშია მითითებული, ამჟამად სამიზნე სადგურებს არ გააჩნიათ ეფექტიანი ლოიალური ბარათების პროგრამა, ინოვაციური სერვისები, სადგურზე მოქმედი სავაჭრო ობიექტები, ხოლო დაგეგმილი კონცენტრაციის შედეგად შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“ შეძლებს:

- დაამკვიდროს და გამოიყენოს მისი ინოვაციური მიდგომები და პოტენციალი სამიზნე სადგურების გასავითარებლად;
- არსებული ტექნოლოგიური ცოდნის და გამოცდილების გამოყენებით დაამკვიდროს მომსახურების მაღალი სტანდარტი სამიზნე სადგურებზე და უფრო მიმზიდველი გახადოს მომხმარებლისათვის. აგრეთვე ჩართოს სამიზნე სადგურები „გალფის“ ლოიალურობის პროგრამაში;
- მრავალფეროვანი და ინოვაციური პროდუქციის და სერვისების მოწოდებას მომხმარებლისათვის - სრულიად ავტომატიზებული სისტემებით აღჭურვილი სადგურების შექმნა, სადაც მომხმარებელს ამავდროულად შეთავაზებულ ექნება საჭირო საბაზისო და ყოველდღიური პროდუქციის ფართო ასორტიმენტი;

- შესთავაზოს საშუალოდ [redacted]-თეთრიანი ფასის სხვაობა „გალფ ექსპრესის“ სადგურებზე - ლოიალური ბარათის მფლობელი კი დამატებით ფასდაკლებას მიიღებს აღნიშნულ სადგურებზე;
- მასშტაბის ეკონომიის ხარჯზე საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები ერთ ლიტრ გაყიდულ საწვავზე შეამციროს [redacted]%-მდე;
- არსებული კორპორატიული კლიენტებისათვის სადგურების დაფარვის და ხელმისაწვდომობის გაზრდა უკეთესი ლოკაციების შეთავაზებით;
- ერთ სადგურზე ეფექტიანობის გაზრდას საშუალო გაყიდული მოცულობის მიხედვით - სამიზნე სადგურების უმრავლესობას მიმზიდველი ლოკაცია აქვს, რაც ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია გაყიდვების მოცულობის გაზრდის და ქსელის კიდევ უფრო გაჯანსაღების შესაძლებლობას მისცემს შემძენს. კერძოდ, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ გათვლებით, ზოგადი ეფექტიანობა გაყიდული საწვავის ერთ სადგურზე გაიზრდება დაახლოებით [redacted]%-ით.

კონცენტრაციის შესაძლო უარყოფით ზეგავლენად შეტყობინებაში მითითებულია:

- შეჩვეულ ლოკაციებზე შპს „რომპეტროლ საქართველოს“ ლოიალურ კლიენტთა ბრენდის ცვლილების დისკომფორტი, რაც დაბალანსებული იქნება შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ მიერ მრავალფეროვანი არჩევანის შექმნით და დამკვიდრებული ლოიალურობის პროგრამის უპირატესობით მთელი საქართველოს მომხმარებლებისათვის. თუმცა, აქვე მითითებულია, რომ აღნიშნულის შედეგად შპს „რომპეტროლ საქართველოს“ ბაზრიდან გასვლის საფრთხე არ არსებობს, რადგან შეტყობინების მიხედვით, შპს „რომპეტროლ საქართველო“ აფართოებს ქსელს ბაზარზე არსებული სადგურების იჯარით აღების გზით;
- რამდენიმე ლოკაციაზე სხვა „გალფის“ სადგურის სიახლოვის გამო შეიძლება, ადგილი ჰქონდეს „კანიბალიზაციის“ ეფექტს (არსებული სადგურის გაყიდვების შემცირება ახალ სადგურზე მომხმარებლების გადანაწილებით), რისი მინიმიზაციაც მოხდება სწორედ განსხვავებული კონცეფციის ხარჯზე, კერძოდ, ასეთი ობიექტების „გალფ ექსპრესის“ - თვითმომსახურების ობიექტებად გადაკეთებით.

შეტყობინებაში ასევე მოყვანილია სამი საკითხი, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს დაგეგმილი კონცენტრაციის საკითხის დადებითად გადაწყვეტაზე:

- ბაზარზე კონკურენტული გარემო უცვლელი იქნება - კონცენტრაციის შედეგად არცერთი არსებული ეკონომიკური აგენტი არ გადის ბაზრიდან და კონკურენტთა რაოდენობრივი მაჩვენებელი არ იცვლება. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ დაგეგმილი კონცენტრაცია არსებით გავლენას არ მოახდენს ბაზრის შედარებით იაფიან სეგმენტზე (მცირე არაბრენდირებულ ქსელებსა და ინდივიდუალურ მოთამაშეებზე) და მათგან მომდინარე კონკურენტული გავლენა საფასო პოლიტიკის შემუშავებაზე კვლავ არსებითი რჩება. ამასთან, კონცენტრაციის დონე ბაზარზე ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის მიხედვით უმნიშვნელოდ იზრდება და კვლავ დაბალკონცენტრირებული ბაზრის კატეგორიაში მოექცევა;
- ბაზარზე შესვლის ბარიერების არ არსებობა - ბოლო წლების მზარდი დინამიკა როგორც ბაზრის მოთამაშეების, ისე სადგურების მაჩვენებლით, მოწმობს ბაზარზე შესვლის დაბალი ბარიერების არსებობას;
- ვერტიკალური ეფექტი - მინიმალური იქნება ასევე ბაზრის ზედა დონეზე (იმპორტის) დაგეგმილი კონცენტრაციის შედეგიც. „შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“ უკვე წარმოდგენილია აღნიშნულ ბაზარზე იმ მოცულობით, რაც მისი გაზრდილი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას სრულად შეძლებს, ბაზრის წილის არსებითი ცვლილების გარეშე.

მხარეები ადასტურებენ, რომ შეტყობინებაში წარმოდგენილი ყველა ინფორმაცია შეესაბამება სიმართლეს და მათთვის ცნობილია არასწორი ინფორმაციის მიწოდებით გამოწვეული საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგების შესახებ.

II. სამართლებრივი მიმოხილვა

წინასწარ შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციის შეტყობინების წარდგენის, განხილვისა და სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების მიღების მატერიალური და პროცედურული საკითხები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, კერძოდ: „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის N288 დადგენილებით, „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანებით, „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებით და სხვა.

სააგენტოსათვის წინასწარ შეტყობინებას ექვემდებარება კონცენტრაცია, რომელიც ერთობლივად აკმაყოფილებს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 და 11^1 მუხლების მოთხოვნებს.

1. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულია კონცენტრაციის განმარტება, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტით განისაზღვრება ის უფლებები, რომელიც გამოიყენება კონცენტრაციის მიზნებისთვის კონტროლის განსახორციელებლად;
2. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, კონცენტრაცია, რომელიც არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე, თავსებადია კონკურენტულ გარემოსთან, ხოლო კონცენტრაცია, რომელიც არსებითად ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას, დაუშვებელია.
3. „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანების მე-3 მუხლის მიხედვით, სააგენტოსათვის წინასწარ სავალდებულო წერილობით შეტყობინებას ექვემდებარება კონცენტრაცია, თუ მისი მონაწილე ეკონომიკური აგენტების ერთობლივი (ჯამური) წლიური ბრუნვა საქართველოს ტერიტორიაზე, შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების წარმოშობის წინა ფინანსური წლის მდგომარეობით, აღემატება 20 მილიონ ლარს და ამასთან, კონცენტრაციის მონაწილე მინიმუმ ორი ეკონომიკური აგენტიდან თითოეულის წლიური ბრუნვა აღემატება 5 მილიონ ლარს.
4. კანონის 11^1 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სააგენტოს მიერ კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვისთვის დაწესებული საფასური შეადგენს 5 000 ლარს.

5. კანონის 11^1 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად, თუ დაგეგმილი კონცენტრაცია ექცევა კანონის რეგულირების სფეროში, სააგენტო კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვას იწყებს კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ და ამ დოკუმენტის წარდგენიდან არაუგვიანეს 25 სამუშაო დღისა, ვალდებულია განიხილოს და მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

   ა) დაგეგმილი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ;

   ბ) კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ, თუ არსებობს გონივრული ეჭვი, რომ შესაძლებელია დაგეგმილი კონცენტრაცია კონკურენტულ გარემოსთან თავსებადი არ იყოს ან თუ, საქმის სირთულიდან გამომდინარე, საჭიროა შესაბამისი საკითხის დამატებით შესწავლა.
6. კანონის 11^1 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში სააგენტო ვალდებულია კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინება განიხილოს კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 90 კალენდარული დღისა. ამ ვადაში სააგენტოს მიერ აღნიშნულ შეტყობინებაზე პასუხის გაუცემლობა დადებით პასუხად მიიჩნევა.
7. იმ ეკონომიკური აგენტების კონცენტრაციის რეგისტრაციისთვის, რომლებსაც ეკისრებათ ამ კანონის 11^1 მუხლით განსაზღვრული კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების ვალდებულება, აუცილებელია არსებობდეს სააგენტოს გადაწყვეტილება მოსალოდნელი კონცენტრაციის კონკურენტული ეფექტის შესახებ. სააგენტოს მიერ უარყოფითი დასკვნის გაცემა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ ეკონომიკური აგენტის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველია.
8. კანონის11^1 მუხლის მე-6 და მე-9 პუნქტებით გათვალისწინებული ვადების ამოწურვამდე ან სააგენტოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე კონცენტრაციის განხორციელება აკრძალულია. სააგენტოს მიერ უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში კონცენტრაციის განხორციელება აკრძალულია.
9. „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 და „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებებით დამტკიცებული კანონქვემდებარე აქტებით განისაზღვრება დაგეგმილი კონცენტრაციის შეფასების საკითხები. აღნიშნული აქტები მოიცავს, როგორც სასაქონლო ბაზრის, ასევე დაგეგმილი კონცენტრაციის შეფასების პრინციპებს, შეფასების მეთოდებსა და კრიტერიუმებს.
10. კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, სააგენტო უფლებამოსილია, ეკონომიკურ აგენტს/მხარეს/დაინტერესებულ მხარეს მოსთხოვოს მისი საქმიანობის ან/და კონკრეტული ოპერაციის შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის/დოკუმენტაციის (მათ შორის, კონფიდენციალური ინფორმაციის) წარდგენა, რომელიც საჭიროა სააგენტოს მიერ შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელებისთვის“.

III.ბაზრის ანალიზი

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებით დამტკიცებული „მითითებების“ მე-5 მუხლის მიხედვით, შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირება უნდა მოხდეს შემდეგი სამი პარამეტრის მეშვეობით:

ა) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის პროდუქციული საზღვრები;

ბ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები;

გ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის დროითი ჩარჩოები.

ა) პროდუქციული საზღვრები

შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრებში ექცევა ყველა საქონელი ან მომსახურება, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ურთიერთჩანაცვლებადად ამ საქონლის/მომსახურების მახასიათებლებიდან, ფასებიდან და მათი გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე.

ავტოგასამართ სადგურებზე ხელმისაწვდომია 3 სახეობის ბენზინი და 2 სახეობის დიზელი. ამასთან, დიზელი და ბენზინის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია პრაქტიკულად ნებისმიერ ავტოგასამართ სადგურზე.

სააგენტოს განხორციელებული აქვს მოკვლევა საავტომობილო საწვავის ბაზარზე[1], ასევე ახორციელებს საავტომობილო საწვავის ბაზრის მონიტორინგის, რის ფარგლებშიც პერიოდულად აქვეყნებს შუალედურ ანგარიშებს[2]. აღნიშნული წარმოების ფარგლებში, ბენზინის და დიზელის ტიპის საწვავი განხილულია როგორც ერთი ბაზარი, რასაც განაპირობებს მიმწოდებლის მხრიდან პროდუქტების ურთიერთაჩანაცვლებადობა. კერძოდ, ბაზარზე არსებული მოთხოვნიდან გამოდინარე, მიმწოდებელს მარტივად შეუძლია ერთი სახეობის საწვავის მიწოდებიდან გადაერთოს სხვა სახეობის საწვავის მიწოდებაზე, რისთვისაც შესაძლებელია იდენტური გადამზიდი ავტომობილის, რეზერვუარისა თუ საწვავის მარიგებელი სვეტის გამოყენება და რაც არ საჭიროებს მნიშვნელოვან ფინანსურ დანახარჯს. ლოგისტიკური სიმარტივის მიღმა, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ფასწარმოქმნაზე მოქმედებს იდენტური ფაქტორები (ნედლის ნავთობის ფასი, პლატსის ფასი, ლარის გაცვლითი კურსი უცხოურ ვალუტასთან მიმართებით). მომხმარებლის მხრიდან, ბენზინის ყველა სახეობა ურთიერთჩამანცვლებელია, ისევე როგროც დიზელის ყველა სახეობა. თუმცა, რასაკვირველია, ბენზინი და დიზელი თვისობრივად არ წარმოადგენს მომხმარებლის მხრიდან ურთიერთჩამანაცვლებელ პროდუქტებს, რადგან ბენზინზე მომუშავე ავტომობილის გამართვა შეუძლებელია დიზელი ტიპის საწვავით.

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მიმწოდებლის მხრიდან ბენზინი და დიზელი ურთიერთაჩამაცვლებელია, ხოლო მომხმარებლისთვის უზრუნველყოფილია ორივე ტიპის საწვავის ხელმისაწვდომობა ნებისმიერ ავტოგასამართ სადგურზე, ასევე, ამ ბაზართან დაკავშირებით სააგენტოს არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან

[1] https://admin.competition.ge/uploads/a87be650e7d64307afda293742f7ad25.pdf

[2] https://admin.competition.ge/uploads/0e76747a96a64da19c4140ac6acc6579.pdf?fbclid=IwAR2U7Fm5MqGJ0zW-q1pxjvdNGQHZKKsKb1NMGusa14ATem_TlR4QvLXvlCU

თავსებადობის შესწავლის მიზნით, სააგენტო ბენზინს და დიზელ განიხილავს როგორც ერთ პროდუქციულ ბაზარს.

ბ) გეოგრაფიული საზღვრები

კონცენტრაციის მონაწილე მხარეების აგს-ები განთავსებულია მთელი ქვეყნის მასშტაბით, შესაბამისად პროდუქტის მიწოდება უზრუნველყოფილია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ამასთან, ქვეყნის ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილების ხარჯიც მინიმალურია (1 ლიტრზე 5 თეთრამდე). შესაბამისად, სააგენტო ბაზრის გეოგრაფიულ საზღვრად მიიჩნევს ეროვნულ დონეს.

გ) დროითი ჩარჩო

პროდუქციის მოთხოვნა/მიწოდება არ ხასიათდება სეზონურობით. აქტიური სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროს იზრდება მოთხოვნა დიზელის ტიპის საწვავზე, თუმცა აღნიშნული არ ცვლის საერთო სურათს. შესაბამისად, ბაზარს არ გააჩნია კონკრეტული დროითი ჩარჩო.

ბაზრის მოცულობა და კონცენტრაციის ინდექსი:

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებით დამტკიცებული „მითითებების“ მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, ბაზრის მოცულობა წარმოადგენს დროის განსაზღვრულ პერიოდში ბაზარზე მიწოდებული საქონლის/მომსახურების რეალიზაციის მოცულობას. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, შესაბამისი ბაზრის მოცულობა იანგარიშება ამ ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების მიერ რეალიზებული საქონლის/მომსახურების მოცულობათა ჯამით. ბაზრის ანალიზის პროცესში, სააგენტო ეყრდნობა აუცილებლობის და თანაზომიერების პრინციპებს და ბაზრის ანალიზს ახორციელებს მიზნის მისაღწევად საჭირო და პროპორციული კვლევის ჩატარების გზით.

როგორც უკვე აღინიშნა, სააგენტო აწარმოებს საავტომობილო საწვავის ბაზრის მონიტორინგს, რის ფარგლებში გამოქვეყნდა 2021 წლის შუალედური ანგარიში, სადაც მოცემულია საბაზრო წილების ბაზრის პრაქტიკულად ყველა დონეზე.[3]

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ კონცენტრაცია უპირველეს ყოვლისა ეხება საცალო ავტოგასამართი სადგურების იჯარით აღებას, მნიშვნელოვანი ის, თუ როგორ იცვლება საბაზრო წილი საცალო ბაზარზე და შესაბამისად, კონცენტრაციის ინდექსი.

გამომდინარე იქიდან, რომ სამიზნე ავტოგასამართი სადგურების მესაკუთრეების ეკონომიკურის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს აგს-ების იჯარით გაცემა და არა შესაბამისი ბაზრის საცალოდ დონეზე ოპერირება, სააგენტო კონცენტრაციის ინდექსის გამოთვლის პროცესში მხედველობაში იღებს სამიზნე ავტოგასამართ სადგურებზე წინა ფინანსური წილის განმავლობაში რეალიზებული საწვავის მოცულობას.

სააგენტოს მიერ შესაბამისი ბაზრის საცალო დონეზე, ბაზრის მოცულობის, ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების განსაზღვრის და მათი საბაზრო წილების მეთოდოლოგია ეყრდნობა შემდეგს - საავტომობილო საწვავის გადაადგილება ექვემდებარება ნავთობპროდუქტების სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებით აღრიცხვას. შესაბამისად, ბაზრის საცალო დონის ანალიზის პროცესში სააგენტო ითვლის ქვეყანაში რეგისტრირებულ საცალო ავტოგასამართი სადგურების

[3] https://admin.competition.ge/uploads/0e76747a96a64da19c4140ac6acc6579.pdf?fbclid=IwAR2U7Fm5MqGJ0zW-q1pxjvdNGQHZKKsKb1NMGusa14ATem_TlR4QvLXvlCU

საცალო საცავებში ყოველწიურად მიტანილი საწვავის მოცულობას ლიტრებში.[4] ამასთან, კონცენტრაციის მონაწილე 23 ეკონომიკური აგენტის საკუთრებაში არსებული 32 აგს-ის იდენტიფიცირება მოხდა უნიკალური შვიდნიშნა კოდების მეშვეობით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დადგინდა შემდეგი:

- ✓ საცალო ბაზრის მოცულობა 2021 წელს - 1 322 225 ათასი ლიტრი;
- ✓ საცალო ბაზარზე მოქმედი კომპანიების რაოდენობა - 506;
- ✓ საცალო ბაზარზე მოქმედი ავტოგასამართი სადგურების რაოდენობა - 1232;
- ✓ ბაზრის კონცენტრაციის (HHI) ინდექსი - 868;
- ✓ შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ საბაზრო წილი („გალფი“, „გალფ ექსპრესი“, „G ეკონომი“) - [redacted] %;
- ✓ სამიზნე 32 ავტოგასამართ სადგურზე რეალიზებული საწვავის მოცულობა 2021 წელს - [redacted] ათასი ლიტრი, ბაზრის [redacted]%;
- ✓ HHI კონცენტრაციის განხორციელების შემდეგ - 924;
- ✓ ΔHHI[5] - 56.

შესაბამისი ბაზრის საცალო დონე დაბალკონცენტრირებულია და კონცენტრაციის შედეგად ინდექსი იზრდება 56 ერთეულით, რაც არ წარმოადგენს არსებით ცვლილებას. დამატებით უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ საბაზრო წილში გაერთიანებულია „გალფი“, „გალფ ექსპრესი“ და „G ეკონომის“ ბრენდები, შესაბამისად უშუალოდ „გალფის“ ბრენდის წილი ბაზარზე შედარებით დაბალია.

რაც შეეხება კონცენტრაციის შესაძლო ვერტიკალურ ეფექტს - დამატებითი ავტოგასამართი სადგურები შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიასთვის“ წარმოადგენს დამატებითი საწვავის რეალიზაციის შესაძლებლობას, რისთვისაც შესაძლოა საჭირო გახდეს საწვავის მეტი მოცულობის იმპორტი. 2021 წელს, შესაბამისი ბაზრის იმპორტის დონეზე ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებლი შეადგენდა 1375 ერთეულს, კონცენტრაციის განხორციელების შემდეგ, სამიზნე ავტოგასამართი სადგურების მიერ 2021 წელს რეალიზებული საწვავის რაოდენობის გათვალისწინებით, მოსალოდნელია კონცენტრაციის ინდექსის ზრდა 42 ერთეულით - 1417 ერთეულამდე. დამატებით, სააგენტო იზიარებს იმ პოზიციას, რომ კონცენტრაცია არსებით გავლენას ვერ მოახდენს კორპორატიულ ბაზარზე, რადგან ამ კუთხით მნიშვნელოვანია კომპანიის ბრენდის ძალა, ცნობადობა, პირობები და არა ავტოგასამართი სადგურების რაოდენობა.

IV. სააგენტოს დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კონკურენციის ეროვნულმა სააგენტომ დაადგინა, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ (ს/კ 404391136) მიერ 23 ეკონომიკური აგენტის საკუთრებაში არსებულ 32 ავტოგასამართ სადგურზე კონტროლის მოპოვების გზით განსახორციელებელი კონცენტრაცია „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის

[4] საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ინფორმაცია.

[5] კონცენტრაციის ინდექსის ცვლილების მაჩვენებელი.

შესაბამისად, არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე და თავსებადია კონკურენტულ გარემოსთან. კერძოდ, შესაბამისი ბაზარი/ბაზრები დაბალკონცენტრირებულია და კონცენტრაციის შედეგად ადგილი არ აქვს HHI ინდექსის არსებით ცვლილებას.

შესაბამისად, კონკურენციის ეროვნულმა სააგენტომ დაადგინა, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ მიერ 23 ეკონომიკური აგენტის საკუთრებაში არსებულ 32 ავტოგასამართ სადგურზე კონტროლის მოპოვების გზით განსახორციელებელი კონცენტრაცია არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე და თავსებადია კონკურენტულ გარემოსთან. კერძოდ, შესაბამისი ბაზარი/ბაზრები დაბალკონცენტრირებული და ზომიერად კონცენტრირებულია, ხოლო კონცენტრაციის შედეგად ადგილი არ აქვს HHI ინდექსის არსებით ცვლილებას.